



ლაქი პარკეტისა და ხის იატაკებისთვის - წყლის ბაზაზე

წყალდისპერსიული აკრილის ლაქი

აკრილის ლაქი, პარკეტის და ხის სხვა ზედაპირებზე - გამჭირვალე და მდგრადი ზედაპირების შესაქმნელად. შიდა სამუშაოებისთვის.



გამჭირვალე

პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,9 ლ, 2,5ლ; 10ლ;

დანიშნულება:

სპეციალური გამჭირვალე ლაქი, აკრილის საფუძველზე. პარკეტის, ხის იატაკების, ავეჯის და სხვა ხის დამცავი ზედაპირების შესაქმნელად. შიდა სამუშაოებისთვის. ადვილად ირეცხება და ინმინდება. ჯანმრთელი კლიმატის შესაქმნელად.

თვისებები:

- ქმნის გლუვ, ცვეთამდედგ და მყარ ზედაპირს.
- უზრუნველყოფს ზედაპირის სიმყარეს და დარტყმა მდევლობას.
- ადვილად ინმინდება საპნის წყლით ან საყოფაცხოვრებო საშუალებებით.
- უზრუნველყოფს სტატიკური წყლის და საყოფაცხოვრებო საშუალებების ზეგავლენის მიმართ მდევლობას.
- გამოიყენება ასევე როგორც დამასრულებელი ფენა ლაქით და ლაზურით დაფარულ ზედაპირებზე.

შესაფერისი ზედაპირები:

ხის იატაკი, პარკეტი, კიბის საფეხურები და სხვა ხის ზედაპირები. კორპის იატაკი, ასევე ლაქით ან ლაზურით დაფარული ზედაპირები. შიდა სამუშაოებისას.

ფერის ტონები/კოლირება:

გამჭირვალე. პროდუქტი არ კოლირდება.

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 1-2 საათის შემდეგ (დამოკიდებულია ფენის სისქეზე). ზედაპირის ექსპლუატაცია შესაძლებელია 48 საათის შემდეგ. 3 საათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. გამოიყენეთ არანაკლებ 5°C ტემპერატურის პირობებში (ჰაერი და ზედაპირი).

სიპრიალის ხარისხი:

პრილა და აბრეშუმისებრი მქრქალი

ხელსაწყობები:

დაიტანეთ აკრილის ლაქებისთვის და ემალებისთვის განკუთვნილი ფუნჯით ან გორგოლაჭით. გამოყენების შემდეგ ხელსაწყობები განმინდეთ წყლით და საპნით.

დატანის მეთოდები:

გამოყენებამდე საფუძვლიანად ამოურიეთ პროდუქტი! დატანისას მოერიდეთ ძლიერ ორპირს. დაიწყეთ მუშაობა ოთახის შორეული კუთხიდან და იმოძრავეთ ფანჯრებიდან - კარამდე. მყარი და მდევვი ზედაპირის მისაღებად დაინატანეთ 1 ფენა ლაქი, გაშრობის შემდეგ გაშლით წვრილმარცვლოვანი ზუმფარის ქაღალდით, მოაშორეთ მტვერი და დაიტანეთ მეორე ფენა. ახალი იატაკებისთვის რეკომენდირებულია 3 ფენა. პირველი დღეები ზედაპირი მთარიდეთ დატვირთვებს. სრული დატვირთვებისთვის ზედაპირი მზად არის 7 დღეში. ტექნოლოგიური შესვენება ფენებს შორის: 3 საათი.

ხარჯი:

დაახლ. 120 მლ/მ² - ერთი ფენა. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანით. უკვე დანაფარ ზედაპირზე დაიტანეთ სატესტო დანაფარი ადჰეზიის შესამოწმებლად.

დაფარვის სტრუქტურა / გაზაფხა:

საგრუნტი ფენა:
Alpina პარკეტის ლაქი წყლის ბაზაზე - გაუზაფხელები. საჭიროების შემთხვევაში გააზაფხეთ არა უმეტეს 10% წყლით.
შუალედური და საბოლოო ფენა:
Alpina პარკეტის ლაქი წყლის ბაზაზე - გაუზაფხელები.

შემადგენლობა:

აკრილის პოლიმერის წყლის დისპერსია, მიზნობრივი დანამატები, წყალი.



ლაქი პარკეტისა და ხის იატაკებისთვის - წყლის ბაზაზე

შესაფერისი ზედაპირები და ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

ხის ზედაპირს მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. საჭიროების შემთხვევაში გაშლით. განმუხრის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი.

ახალი ხის ზედაპირები:

უხეში ხის ზედაპირები გაიშლით ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ბასრი დაბოლოებები მოშორდეს. ხის ფისის შემცველი ხე ლაქირების წინ გაუღინთეთ სპეციალური უნივერსალური ნიტრო გამსხნელით.

ხის ნესტიანობა:

დაგრუნტვის და შეღების დროს ხის ნესტიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12%-15% -ს.

არამზიდი დანაფარები:

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ლაქით, ემალით ან ლაზურით დაფარული მზიდი ზედაპირები:

პრიალა და ემალით დაფარული ზედაპირები გაშლით - მჭრქალ მდგომარეობამდე და მოაცილეთ მტვერი. ცარცვალი და დაბინძურებული ძველი დანაფარები განმინდეთ მყარ მერქნამდე. მყარი თხელფენიანი ლაზურის დანაფარები გაშლით, განმინდეთ და წაუსვით **Alpina პარკეტის ლაქი წყლის ბაზაზე** საცდელი ფენა, რათა შემოწმდეს თავსებადობა.

დაუმუშავებელი ძველი ხე:

განაცრისფრებული, გამოფიტული ზედაპირი დაუმუშავდეს ზუმფარის ქაღალდით, ჯანმრთელ, მზიდუნარიან მერქნამდე. განმინდოს საფუძვლიანად. დაგრუნტეთ - საჭიროების შემთხვევაში არა უმეტეს 10% წყლით გაზავებული **Alpina პარკეტის ლაქი წყლის ბაზაზე-თი**.

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განთავსებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გარეცხეთ წყლით. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 24 თვის განმავლობაში.

ტექნიკური ინფორმაცია № BY_120_WB 2018 წლის მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/ მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.